



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N4**

ქ.ლანჩხუთი

20. 04. 2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე. საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“, თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“, თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-მრეწველების“, თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელის“, თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთის ევროატლანტიკური მომავლისათვის“, თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი მაგალი კუნჭულია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შესწორებულია რამოდენიმე ტექნიკური ხარვეზი, მათ შორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი ახალი საკითხი, რომელიც დღის წესრიგის პროექტს დამატებული აქვს. ასევე, მისი თქმით საკითხი, რომელიც შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების(ნინოშვილის ქ. N9-ში მდებარე შენობა ნაგებობა) „მონადირეთა და მეთევზეთა კლუბისათვის“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემას“ ამოღებულ უნდა იქნას დღის წესრიგიდან სათანადო პროექტის წარმოდგენლობის გამო, რადგან აღმასრულებელი ორგანოდან შემოსულია მხოლოდ განცხადება. მისი თქმით, თუ აღნიშნული საკითხი გამგეობიდან სამართლებრივი აქტის პროექტის სახით იქნება წარმოდგენილი, საკრებულო მას განიხილავს უახლოეს სხდომაზე. აღნიშნული გაზიარებულ იქნა საკრებულოს ბიუროს წევრთა მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია /

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ზ. ურუშაძე /

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ შექმნის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მომართვის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე /

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია /

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია /

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანias ქუჩაზე, სკვერთან მდებარე 57.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.166)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის

თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია /

11. სხვადასხვა .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 27 აპრილი, 11 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი უძრავი ქონება უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ (ს/ნ 233732565), ესენია :

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელეში (წყალწმინდა) მდებარე 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 413.5 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N 1 და 9 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N 2 (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ : 27.16.50.271).

2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში მდებარე 2807 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 413.5 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N 1 და 9 კვ.მ. შენობა-ნაგებობა N 2 (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ : 27.11.45.083).

3) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათში მდებარე 923.8 კვ.მ. N 1 შენობა-ნაგებობის პირველი სართულის 15.6 კვ.მ. - ფართი N 10, 18.4 კვ.მ. - ფართი N 11, 12.5 კვ.მ. - ფართი N 12, 33.6 კვ.მ. - ფართი N 13, 17.5 კვ.მ. - ფართი N 14, 13.8 კვ.მ. - ფართი N 15, 27.8 კვ.მ. - ფართი N 16, 24.9 კვ.მ. - ფართი N 17 და 24.9 კვ.მ. - ფართი N 18 (ჯამში 189 კვ.მ. ფართი) მათზედ წილობრივად დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.01.42.015)

4) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში მდებარე 2715 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 415.13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ : 27.14.48.020).

5) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილში მდებარე 756.1 კვ.მ. N 1 შენობა-ნაგებობის პირველი სართულის 62.5 კვ.მ. - ფართი N 8, 33.4 კვ.მ. - ფართი N 9, 61.5 კვ.მ. - ფართი N 10, 17.2 კვ.მ. - ფართი N 11, 7.9 კვ.მ. - ფართი N 12, 25.5 კვ.მ.

- ფართი N 13 (ჯამში 208 კვ.მ. ფართი) მათზედ წილობრივად დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.12.41.004)

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 5 აპრილის N148 წერილის საფუძველზე, სადაც მოთხოვნილია რომ (ქ. ლანჩხუთში, კვირკველის ქ. N16-ში მდებარე მრავალსართულიან სახლში მცხოვრებთა და პირველ სართულზე განთავსებულ კლინიკა „ჯანმრთელობის“ მფლობელთა განცხადების საფუძველზე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში კვირკველიას ქ. N16-ში მდებარე 103 და 202 კვ.მ. მიწის ნაკვეთები, რადგან შემდგომში დაკმაყოფილდეს განმცხადებლების მოთხოვნები და აღნიშნულ ტერიტორიაზე მოეწყოს სკვერი.

დეპუტატი ია ჩხაიძე დაინტერესდა აღნიშნული ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შემთხვევაში მოხდებოდა თუ არა არსებულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა და რა ვადებში.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ობიექტი შეცდომით მოხვდა საპრივატიზაციო ნუსხაში, ვინაიდან მოსახლეობის მხრიდან იყო მომართვა აღნიშნული ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების თაობაზე. ტერიტორია მოიცავს 300 კვ. მ. მიწის ნაკვეთს, რომლის მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია სამედიცინო ცენტრი „ჯანმრთელობა“. მისი თქმით იქ მასშტაბური ინფრასტრუქტურის მოწყობა ვერ განხორციელდება, რადგან ამით მოხდება სამედიცინო ცენტრისთვის მისასვლელი გზის ჩაკეტვა. მან აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია შეიღობება, დაიდგმება სკამები და დაახლოებით 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სკვერი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხდომას შეუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის N1381 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გაფორმებული მრავალწლიანი პროექტების ხელშეკრულების თანახმად 2015 წელს შესრულებული სამუშაოების 5%-ს დაკავებული იქნა საგარანტიო თანხა 93539 ლარი და 50 თეთრი სამუშაოების დასრულებამდე, კერძოდ: აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 54053 ლარი, აცანის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის უკანა მხარეს დამეწყრილი მონაკვეთსა და ამ მონაკვეთზე არსებული საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 39480.50 ლარი. ვინაიდან სამუშაოები სრულდება მიმდინარე წელს დაკავებული თანხა უნდა მიიმართოს 2016 წლის ბიუჯეტში ხარჯვით ნაწილში 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის ხარჯზე.

საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდის წერილის თანახმად ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება განხორციელდება არა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ, არამედ ისევ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ. შპს „ლანჩხუთს“ შეუმცირდეს დაფინანსება 100 000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურიას“ დაფინანსება. ძველი დავალიანებების დასაფარავად.

დეპუტატი ია ჩხაიძე დაინტერესდა, თუ შპს „ლანჩხუთი“ რომელ ა(ა)იპ-ს წარმოადგენდა, რადგან აღნიშნული შპს-ს არსებობის შესახებ მან პირველად შეიტყო.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ უპასუხა, რომ შპს. „ლანჩხუთი“ წარმოადგენს ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონს. მისი თქმით მოხდა შპს „გურია 2000“ -ის ლიკვიდაცია, ისე რომ შპს-ს სარეგისტრაციო ნომერი უცვლელი დარჩა. მოხდა მხოლოდ სახელის ცვლილება. ვინაიდან შპს“ გურია-2000“-ის სახელი უკავშირდებოდა ფეხბურთს. მისი თქმით, რომ არ მომხდარიყო თანხების ქართული ფეხბურთის ფონდში გადარიცხვა, სწორედ ამიტომ იყო განპირობებული აღნიშნული შ.პ.ს -თვის სახელის ცვლილება.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მოხდა ა(ა)იპ-ის სარაგბო და ბავშთა ფეხბურთის ანგარიშის მოსმენა, სადაც ა(ა)იპ-ების ხელძღვანელობის თხოვნა იყო, რომ განხორციელდეს ბიუჯეტში ცვლილება, კერძოდ, ა(ა)იპ-ისთვის ერთი წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხიდან მოხდეს მე-3 და მე-4 კვარტლის თანხების პირველ და მეორე კვარტლებში გადმოტანა, ვინაიდან მოსაწესრიგებელია საშხაპეების და სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემების საკითხი.

დეპუტატმა ალექსანდრე სარიშვილმა უპასუხა, რომ მიმდინარე წელს აღნიშნული ა(ა)იპ-თვის გამოყოფილი თანხების ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში გადარიცხვა არ მოხდება, აქედან გამომდინარე, მისი თქმით როცა იქნება ოფიციალურად მომართვა ა(ა)იპ-ების ხელძღვანელობის მხრიდან, მოხდება საკრებულოს შესაბამის კომისიაში მისი განხილვა. დეპუტატი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუშაძემ.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2015 წელს მობილიზებულია სულ შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 2384.4 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 102.4%-ით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 137.4%-ით, აქედან საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 296.2 ათ. ლარი /103.9%/; ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადმა შეადგინა 14.2 ათ. ლარი /142.5%/; სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულება

შეადგენს 139.4 ათ. ლარი /232.3%/; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 779.9 ათ. ლარს

/144.4%/; არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულება შეადგენს 1042.4 ათ. ლარს და გეგმა 89.7%-ით არის შესრულებული; აქედან ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 98.1 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 33.5%-ით; შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შეადგინა 3,2 ათ. ლარი /32,1%-ით/; სანებართვო მოსაკრებლიდან მიღებულია 9,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 182,4%-ით; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 34.5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 49.3%-ით; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მიღებულია 2.1 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 21.2%-ით; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 36,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 202,7%-ით ჯარიმები, საქნციები და საურავებიდან მიღებულია 840,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 111,1%-ით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 18,1 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 112,2 ათ. ლარი, შესრულებულია 41,4%-ით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს

14657,5 ათ. ლარი ანუ გეგმის 99,8% აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5881,1 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათ. ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3897,6 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან 817,5 ათ. ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 3641,3 ათ. ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 200,0 ათ. ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების სახით საფინანსო წლის განმავლობაში მიღებულია 17041,9 ათ. ლარი ანუ გეგმის 100,2%-ი.

საფინანსო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ერიცხებოდა 2463,4

ათ. ლარი, რომელიც მიიმართა ვალდებულების დასაფინანსებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2014 წლის 25 დეკემბერს N46 დადგენილებით 7960100 ლარის ოდენობით, განხორციელდა ცვლილება 2015 წლის 30 იანვრის N3 დადგენილებით, გაიზარდა ბიუჯეტი 2310120 ლარით და განისაზღვრა 10270220 ლარის ოდენობით, 2015 წლის 27 თებერვლის N12 დადგენილებით შევიდა ცვლილება და დაემატა 244020 ლარი და განისაზღვრა

10514240 ლარით, 2015 წლის 30 აპრილს N19 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და გაიზარდა ბიუჯეტი 897447 ლარით და განისაზღვრა 11411717 ლარით,

2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 2740569 ლარით და განისაზღვრა 14152186 ლარით, 2015 წლის 10 ივლისის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 4090290 ლარით და განისაზღვრა 18242476 ლარით, 2015 წლის

25 სექტემბერის N39 დადგენილებით შემცირდა ბიუჯეტი 32060 ლარით და განისაზღვრა 18210416 ლარით, 2015 წლის 27 ნოემბრის N29 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 889036 ლარით და განისაზღვრა 19099452 ლარით, 2015 წლის 29 დეკემბრის N46 დადგენილებით გაიზარდა ბიუჯეტი 309536 ლარით და განისაზღვრა 19408988 ლარით.

სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, როგორც შემოსავალი, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 11448958 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 19110.0 ათ. ლარის ხარჯი; მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1534.1 ათ. ლარი, ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 8.0%-ი, გაწეული მიმდინარე ხარჯების 17,7%-ია, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 130.8 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 0.7%-ი, მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 5.3 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 246.1 ათ. ლარი, /ხარჯის 1.3%-ის/, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 14.9 ათ.ლარი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯებზე

143.6ათ.ლარი /ხარჯის 0.8%-ი/, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 246.3 ათ.ლარი /ხარჯის 1.3%-ი/, არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 10461.4 ათ.ლარი /ხარჯის 54.7%-ი/, სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე მიიმართა 5658.5 ათ.ლარი /ხარჯის 29.6-ი/, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 318.2 ათ.ლარი /ხარჯები 1.7%-ი/, სხვა ხარჯების მუხლით გაწერილია 45.0 ათ. ლარი /ხარჯები 0.2%-ი/, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 662.6 ათ.ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 3.5%-ი, მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1426.4 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 7.5%-ი, სახანძრო დაცვის სამსახურის დაფინანსებაზე გაიხარჯა 311.5 ათ. ლარი ხარჯების 1.6%-ი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 116.2 ათ. ლარი ხარჯების 0.6%-ი, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა ნაგებობებში დახარჯული წლის გადასახადი შეადგენს 0,8 ათ. ლარს, გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე მიიმართა 204.5 ათ. ლარი ხარჯების 1,1%, დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 492.0 ათ. ლარი ხარჯების 2.6%, გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე მიიმართა 125.9 ათ. ლარი ხარჯების 0,7%- ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 46.9 ათ. ლარი ხარჯების 0,2%-ი, რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 55.0 ათ. ლარი ხარჯების 0,3%-ი, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 153.4 ათ. ლარი ხარჯების 0,8%-ი, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი დაფინანსდა 1549.9 ათ. ლარი ხარჯების

8.1%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე 374.5 ათ. ლარით ხარჯების 2,0%-ი, ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურისას დაფინანსება

1510.0 ათ. ლარია ხარჯების 7.9%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 134.0 ათ. ლარი შეადგინა ხარჯების 0.7%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 61,0 ათ. ლარი ხარჯების 0,3%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 903,8 ათ. ლარი ხარჯების

4,7%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 122,5 ათ. ლარი ხარჯების 0,6%-ი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის დაფინანსებაზე გაიხარჯა 73,9 ათ. ლარი ხარჯების 0,4%-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 335,9 ათ. ლარი ხარჯების 1,8%-ი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 10418,7 ათ. ლარი ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 54,7%-ი. მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოებზე მიიმართა 2549.5 ათ. ლარი; გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 3603,4 ათ. ლარი; ხიდების მოწყობის სამუშაოებზე 937,9 ათ. ლარი; არასაცხოვრებელი

ბინათმშენებლობის (გრიგოლეთის ბაზა) სამუშაოებზე 370.3 ათ. ლარი; სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მშენებლობა რეაბილიტაციაზე მიიძღრთა 949.5 ათ. ლარი; წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 777,0 ათ. ლარი; ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე მიიძღრთა 9.7 ათ. ლარი; საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 143.1 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის დაფინანსებაზე მიიძღრთა 817.1 ათ. ლარი; კეთილმოწყობის სამუშაოებზე მიიძღრთა 261.2 ათ. ლარი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 547840 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 10609672 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 47 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 9, უარყოფითი შედეგით დასრულდა ორი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 2480520 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 34 ხელშეკრულება. სულ 2015 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ გაფორმებული იქნა 355 ხელშეკრულება.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შესრულდა 3917985 ლარის სამუშაო. სულ შერჩეული იქნა 21 პროექტი. წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ითვლებოდა სუფსა- გულიანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც სრულიად მწყობრიდან იყო გამოსული. შეფერხებული იყო მოსახლეობის გადაადგილება, რაც მათ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. პირველ პრიორიტეტად განსაზღვრული იქნა აღნიშნული გზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 4387030 ლარით. ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით სამუშაოებს შპს „სამკუთხედი“ ჩაატარებს 3000000 ლარად. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2017 წელს. საბავშვო ბაღების მშენებლობა რეალიზაციის სამუშაოების ჩატარება განსაზღვრული იქნა ოთხ სოფელში: სოფელ მახვარეთში, აკეთში, წყალწმინდასა და ჯურუყვეთში. სამუშაოები წარმატებით დასრულდა ოთხივე სოფელში და მოეწყო თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღები. რვა სოფელში განისაზღვრა წყალმომარაგების სამუშაოების ჩატარება. სამუშაოები ჩატარდა ხარისხიანად. ყველა სოფელში მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეუფერხებლად. ქალაქ ლანჩხუთში, გვიმბალაურსა და მამათში ჩატარდა გზის შეკეთების სამუშაოები.

2015 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 817447 ლარი. თითოეული სოფლის მიხედვით განსახორციელებელი პროექტები შერჩეული იქნა სოფლის საერთო კრებებზე. სამუშაოები ყველა სოფელში შესრულდა ხელშეკრულების შესაბამისად. 2014 წლის სექტემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის მიერ პირველ ეტაპზე სტიქიის გამოყოფილი იქნა 2000000 ლარი. გამოყოფილი თანხით 2015 წელს 48 ობიექტზე ჩატარდა გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოები. 2014 წლის სექტემბრის თვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დამატებით გამოყოფილი იქნა 2600000 ლარი. საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა აღნიშნული თანხით შემდეგი პროექტების დაფინანსება: აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობა, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალწმინდაში შიდა სასოფლო გზაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობა, შუხუთის

ადმინისტრაციულ ერთეულში, გზის აღდგენითი სამუშაოები და სანიაღვრე არხების გაწმენდა მოწყობა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის უკანა მხარის დამეწყრილი მონაკვეთის და ამ მონაკვეთზე არსებულ საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნული პროექტებიდან ორი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობა და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის უკანა მხარის დამეწყრილი რეაბილიტაციის სამუშაოები გარდამავალია. სამუშაოები დასრულდება 2016 წელს.

2015 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დამატებით გამოყოფილი იქნა 1050000 ლარი. გამოყოფილი თანხა სრულად იქნა ათვისებული 2015 წლის განმავლობაში.

2015 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა დებულებით გათვალისწინებული ყველა ფუნქცია. 2015 წლის 1 იანვრიდან განყოფილება ჩაერთო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში. განყოფილებაში შემავალ თანამშრომელზე გადანაწილებული იყო განყოფილების მიერ შესასრულებელი ყველა ფუნქცია. ყოველდღიურად ხორციელდება: შემოსავლებისა და ხარჯების ყოველდღიური აღრიცხვა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების, სამივლინებო თანხების დარიცხვა და საბანკო ანგარიშებზე თავისდროულად ჩარიცხვა, საშემოსავლო გადასახადების ანგარიშების შედგენა და დადგენილ ვადაში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენა, მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად კომუნალური და სხვა გასაცემი თანხების მომწოდებლებზე თავისდროულად გადარიცხვა, მისაწოდებელი და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მომწოდებელზე თანხის ჩარიცხვა, ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშებების და სხვა საბუთების შენახვაზე კონტროლი და დადგენილი წესით მათი გაარქივება, ბიუჯეტის შემოსავლების და გადასახდელების ყოველდღიური აღრიცხვა, რითვისაც ყოველდღიურად ვამუშავებდით ხაზინიდან მიღებულ ამონაწერს (ავიზოს), ვუზრუნველყოფდით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დადგენილი წესით დაბრუნებას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებებიდან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ანგარიშების (ბუღალტრული ბალანსების) მიღებას, შემოწმებას და ანალიზს, წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება- ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) საფუძველზე საგადახდო დავალების მომზადებას გადახდის განსახორციელებლად. ხდებოდა მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა და კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული საწარმოებებსა და დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე.

2015 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული თერთმეტი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური შემოსულობებისა და

გადასახდელების შესრულების ანგარიშგების ფორმები, ჯამში 132 ცალი. აღნიშნული ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ასევე 2015 წელს მიღებული იქნა 16 ცალი კვარტლური ანგარიშის ფორმა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2015 წლის წლიური ბალანსების მიღება-დამუშავებაზე. განყოფილების მიერ ხდებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული და ხელშეკრულებით აყვანილი სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავ-საცხები მასალების მიღება-გაცემასა და ხარჯვაზე კონტროლი, სადაც საწვავის ჩამოწერა ხორციელდებოდა წარმოდგენილი გარბენილი კილომეტრების მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ 17 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შედგება 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის მოსმენა, ხოლო 18 აპრილს მოხდება საზოგადოებრივი დარბაზის მიერ განხილვა. მან ფრაქციებისა და კომისიების წევრებს მოუწოდა, რომ აქტიურად ჩართულიყვნენ ამ საკითხის განხილვის პროცესში.

დეპუტატმა ალექსანდრე სარიშვილმა აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით- 102%-ით. მხოლოდ ა(ა)იპ-ი საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურია“-ში დაფიქსირდა ფინანსური დარღვევა, რომელიც გამოვლენილ იქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტის სამსახურის მიერ. გატარდა შესაბამისი ღონისძიება-საქმე გადაეცა პროკურატურას. მოწვეულმა აუდიტორმა გადაგზავნილი აქტების საფუძველზე დადო დასკვნა, რომელშიც არ იყო დაფიქსირებული დარღვევაზე გატარებული ღონისძიება. მისი აზრით, პირობითი აუდიტორული დასკვნა არ არის საგანგაშო და არ ნიშნავს უარყოფით აუდიტორულ დასკვნას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
- 2) ანგარიში განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.
- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ შექმნის შესახებ სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს დეპუტატებმა : ნონა მურვანიძემ, ელისო ჭიჭინაძემ და დარეჯან ბურჭულაძემ ,რომელთა მხრიდან გამოთქმულ იქნა სურვილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნან ახალი ფრაქცია სახელწოდებით „ქალები პოლიტიკაში“. 6 აპრილს კომისიამ იმსჯელა საკითხთან დაკავშირებით და ვინაიდან დოკუმენტაცია იმ დროისთვის არ შეესაბამებოდა კანონის მომთხოვნებს ,ახალი ფრაქციის დარეგისტრირებაზე კომისიამ უარი განაცხადა. მისი თქმით დოკუმენტაციის სრულყოფის თაობაზე მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია. კერძოდ, დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ წარმოადგინა პარტიული კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი, იგი გაწვერიანდა ეროვნულ ფორუმში. დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძეს ჯერჯერობით არ წარმოუდგენია.

დეპუტატმა რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან პარტია ეროვნული ფორუმი საქართველოს პარლამენტში გავიდა „ქართული ოცნების კოალიციიდან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკრებულოს დეპუტატებმა იგივე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. რადგან საკრებულოს დეპუტატი კანონის შესაბამისად სარგებლოს დამოუკიდებელი მანდატით, ამიტომ დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ უნდა გააკეთოს განცხადება რჩება თუ არა იგი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის რიგებში.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ ეროვნული ფორუმის ხელმძღვანელობამ საქართველოს პარლამენტში მიიღო „ქართული ოცნების“ კოალიციიდან გასვლის გადაწყვეტილება და მისი თქმით საკრებულოს დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე თავად დააფიქსირებს თავის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ის არის პარტია „ეროვნული ფორუმის“ წევრი და იგი ეთანხმება და იზიარებს კოალიციიდან გასვლის გადაწყვეტილებას.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება კიდევ ერთი ქალბატონის ბიუროს შემადგელობაში შესვლას, ვინაიდან ქალები ყველაფერს ძალიან მახვილი თვალთ, რეალურად და კონსტრუქციულად უყურებენ. მან წარმატებები უსურვა კოლეგა ქალბატონებს და იქვე დასძინა, რომ დეპუტატი ქალბატონები, ყველანი ერთად ძალიან მნიშვნელოვან და კეთილ საქმეებს გააკეთებენ მუნიციპალიტეტისათვის.

ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის რომან ბიწაძის მოხსენება ახალი გარემოებების გათვალისწინებით ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ დაფუძნების შესახებ. დაევალა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა და მოხსენების გაკეთება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ გვიმბალაურში მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწის(უძრავი ქონების) ს/კ 27.08.47.030) ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებიდან N2 შენობა- ნაგებობა ესაჭიროება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრს“ (ს/კ 433 642 178) თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრთან“ გაფორმდეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.
- 2) კომისია. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე

გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ27.08.47.030) 1324.28კვ.მ. შენობა-ნაგებობა N 1-ის მეორე სართულის 18.6 კვ.მ.- ფართი N 1 54, 6 კვ.მ.-ფართი N 2 და 18.6 კვ.მ.- ფართი N 3 (ჯამში 91.8 კვ.მ. ფართი) უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას“ (ს/ნ433642203).

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“ და „მაჟორიტარები“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, სკვერთან მდებარე 57.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.166)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე ცენტრალურ

სკვერში 57 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა(მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.06.56.166), რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას სარგებლობის უფლებით უნდა გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩუთის სერვისს“ საზოგადოებრივი საპირფარეოს მოსაწყობად.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მას არაერთხელ უსაუბრია ტელევიზიის, პრესის საშუალებით, წინა ხელისუფლების მიერ აშენებულ საპირფარეოზე, რომელსაც გახსნის უფლება მოსახლეობამ არ მისცა. შემდეგ ეს „ობიექტი“ საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა და მან დააყენა საკითხი, რომ ქალაქის მთავარ პარკში არსებულ საპირფარეოს შენობა ამოღებულ ყოფილიყო საპრივატიზაციო ნუსხიდან. იგი ითხოვდა საპირფარეოს შენობისთვის ფუნქციის შეცვლას, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე იყო ეკლესია და საძვალე. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მართლაც ამოიღეს საპრივატიზაციო ნუსხიდან საპირფარეოს შენობა, თუმცა დღეს კვლავ განიხილება მისი აღდგენის საკითხი. დეპუტატის განცხადებით ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედებს რამდენიმე საპირფარეო და იგი ვერ ხედავს ქალაქის მთავარ პარკში კიდევ ერთი საპირფარეოს გახსნის საჭიროებას, მით უმეტეს მაშინ, როცა აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს წმინდა ადგილს.

დეპუტატმა კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ თუ არსებულ ტერიტორიაზე იყო ეკლესია და საფლავები, მაშინ იგი ვერ დაუჭერს მხარს აღნიშნულ ტერიტორიაზე საპირფარეოს გახსნას.

დეპუტატმა ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ადგილზე გადიოდა გზა ,სადაც საფლავები არ ყოფილა. მისი თქმით ქალაქში აიცილებლად უნდა გაიხსნას საპირფარეო.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ უპასუხა, რომ სკვერში თითოეული ხე საფლავზეა დარგული და საფლავის ქვები დღესაც არის შემორჩენილი.

დეპუტატ კახაბერ გუჯაბიძის თქმით აღნიშნული ტერიტორია უნდა გადაეცეს ეკლესიას.

დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ ტერიტორიის გადაცემა ან არ გადაცემა ეკლესიითვის, გამოსავალი ვერ იქნება. მისი თქმით თუ საპირფარეო აშენებულია უშუალოდ საფლავებზე, მაშინ ეს არასწორია, საპირფარეო კი მისი აზრით უნდა იყოს ყველგან.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით განხილვაში სასურველია სასულიერო პირებიც ჩართულიყვენ და მხოლოდ ამის შემდგომ მიეღო ბიუროს გადაწყვეტილება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, სკვერთან მდებარე 57.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.166)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი დამატებითი შესწავლის მიზნით დაუბრუნდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

სხვადასხვა:

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ხაჯალიის სკოლასთან არსებული ე.წ „ნავესი“, რომლის მასაც დაახლოებით 30ტ. შეადგენს. დეპუტატი დაინტერესდა, როგორ გამოიყენებდა სოფელი აღნიშნულ რკინის კონსტრუქციას.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ უპასუხა, რომ მოხდება მისი შეფასება, ადგილზე გაიგზავნება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები, გაკეთდება დემონტაჟი, გაიყიდება და აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდება სოფლის სკოლას.

დეპუტატმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლებში მოსახლეობას მიწების მიღება-ჩაბარების აქტებთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები. კერძოდ, მისი თქმით თუ კონკრეტულ პიროვნებას მაგალითისთვის აქვს ჯამში ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ორ სხვადასხვა ტეროტორიაზე, ვერ ირეგისტრირებს. მათთვის შეცდომით განხორციელდა მიწების აზომვა და ეს ორი ნაკვეთი ერთ ნაკვეთად იქნა მიჩნეული. გამოდის რომ ერთი ნაკვეთი იკარგება. მისი თქმით აუცილებელია ცნობის გაცემა მსგავსი ტიპის შემთხვევებზე, რადგან მოსახლეობამ დაირეგისტრიროს და არ დაკარგოს მიწის ნაკვეთები.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ თხოვნით მიმართა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებს, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, განსახილველი საკითხები საკრებულოში დროულად შემოსულიყო, ასევე კრიტიკულ შენიშვნებზე და გამოთქმულ წინადადებებზე მათი მხიდან მყისიერი რეაგირება მომხდარიყო.

გამგეობის ადმინისტრაციის უფროსმა მაგული კუნჭულიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს მხრიდან მუნიციპალიტეტის გამგეობაში გადმოგზავნილი კრიტიკულ შენიშვნები და გამოთქმულ წინადადებები გამგეობის მხრიდან უკვე განხილულია, გარდა ამისა ამ საკითხთან დაკავშირებით გამგეობის ყველა სამსახურისგან გამოგზავნილ იქნა მოხსენებითი ბარათები.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შემადგენელი რვა ა(ა)იპ-ის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის

საკრებულო, მან დასვა კითხვა თუ დარჩენილ სამ ა(ა)იპ-ზე (ა(ა)იპ- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლანჩხუთი-სერვისი, ა(ა)იპ- დასუფთავების სამსახური, ა(ა)იპ- ბლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ტექ-სერვისი) რომელი სამსახური ახორციელებს კონტროლს და მონიტორინგს? დეპუტატის თქმით ეს კითხვა გაჩნდა იმის შემდეგ, როცა კომისიის სხდომაზე დეპუტატმა დარჯან ბურჭულაძემ დასვა კითხვა აგარაკის სასაფლაოსთან დაკავშირებით. ა(ა)იპ- ლანჩხუთი სერვისს ევალებოდა მხოლოდ სასაფლაოს გარე პერიმეტრის მოწესრიგება თუ უშუალოდ სასაფლაოს ეზოს მოწესრიგება?

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ უპასუხა, რომ აღნიშნულ ა(ა)იპ-ებზე კონტროლი ევალება საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით არის 450000-500000 საფლავი რომლის მოვლა-პატრონობას წლის მანძილზე 10 მილიონ ლარამდე დაჭირდება , ასეთი ფინანსური შესაძლებლობა დღესდღეობით მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სოფელ ხიდმაღალაში მოსახლეობა თავიანთი ხარჯებით უვლის და აწესრიგებს სასაფლაოს, ისინი ითხოვენ შხამ-ქიმიკატების შეძენას, რომლის ღირებულება შეადგენ 60 ლარს. ასევე დეპუტატმა კიდევ ერთხელ დააყენა, სოფელ ახალსოფლიდან სოფელ ხიდმაღალას ჩათვლით გარე განათების მოწყობის საკითხი.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ უპასუხა, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთი წარმოადგენს პირველი კატეგორიის გზის მონაკვეთს, რომელსაც კურირებს საგზაო დეპარტამენტი. მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებს თავისი ინიციატივით მოცემულ გზაზე გარე განათებების დამონტაჟებას, მისი თქმით ის შეხვედება საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. იმედოვნებს ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო